



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011302254505513

10 / დეკემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

ბრძანება № 60-მ

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეებისათვის
უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს გიორგი გოგამეს მიენიჭოს საქართველოს პროკურატურაში შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებზე და განცხადებებზე რეაგირებისა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება.
2. საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის გიორგი გოგამის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს გიორგი გაბიტაშვილს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 16 სექტემბრის №111-მ ბრძანება „საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“.
4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი

ოთარ ფარცხალაძე

